პროექტის აღწერა და მიზანი	იმერეთში ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობა, რომელიც მოემსახურება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებს. ასევე, გადამტვირთი სადგურების მოწყობა და ქუთაისის მოქმედი ნაგავსაყრელის დახურვა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ევროსტანდარტების შესაბამისი ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი და არსებული ნაგავსაყრელის დახურვა.
დეტალური ინფორმაცია	საქართველო-გერმანიის თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს "ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი", რომლის განხორციელებაც გათვალისწინებულია 2014-2018 წლებში. 2014 წელს შეირჩა პროექტის განმახორციელებელი (ERM GmbH) და დამხმარე ღონისძიებების (PEM) კონსულტანტები.

	2016 წელს დასრულდება პროექტის დეტალური დიზაინი და გამოცხადდება ტენდერები სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით. სამშენებლო სამუშაოების დასრულება გათვალისწინებულია 2018 წლის ბოლოს. 2018 წლის განმავლობაში განხორციელდება ძველი ნაგავსაყრელის დახურვა და ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მონიტორინგი.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ახალი სანიტარული ევროსტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელის აშენება და არსებულის დახურვა.

<b>ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA)</b>	
პროექტის პროგრამული კოდი	25 05 03
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	25 05 - მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვემო ქართლის ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა, რომელიც მოემსახურება ქვემო ქართლის 5 მუნიციპალიტეტს (წალკა, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი) და მუნიციპალიტეტების აღჭურვა აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ევროსტანდარტების შესაბამისი ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი.
დეტალური ინფორმაცია	2014 წელს საკონსულტაციო კომპანია COWI-ს მიერ მომზადდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა. 2016 წელს მიმდინარეობდა პროექტის განხორციელების ხელშეწყობის სერვისებისა და კორპორაციული განვითარების, დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერის პროგრამის განმახორციელებელი კონსულტანტების შერჩევის პროცედურები. პროექტის დიზაინის მომზადების შემდეგ დაიწყება სამშენებლო სამუშაოები. პროექტის დასრულება დაგეგმილია 2018 წელს.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელის აშენება და აღჭურვა.

<b>პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება</b>	
პროექტის პროგრამული კოდი	27 01 03
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს	27 01 - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება

პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით არსებული დაწესებულებების რემონტი-რეკონსტრუქცია და აღჭურვა შესაბამისი მანქანა-დანადგარებით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	არსებული ინფრასტრუქტურის განახლებითა და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენით პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის ყოფითი და საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესებულია.
დეტალური ინფორმაცია	მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარება სისტემის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ დაწესებულებებში, გარე და შიდა პერიმეტრის მოწესრიგება, უსაფრთხოების სისტემის და დაწესებულებების გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო მანქანა - დანადგარების შეძენა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის შექმნილია ახალი, რეკონსტრუქცია ჩატარებული და გარემონტებული დაწესებულებები, საზოგადოებრივი მისაღებები და სრულყოფილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები.

<b>საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა</b>	
პროექტის პროგრამული კოდი	32 07 01 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	32 07 - საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;  საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამედროვე სასწავლო გარემოს შექმნა შესაბამისი კომპიუტერული აღჭურვის უზრუნველყოფით.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	
პროექტის პროგრამული კოდი	32 07 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	32 07 - საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვა;</p> <p>გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი კოლეჯების მშენებლობა და რეაბილიტაცია;</p> <p>უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების რეაბილიტაციისა და სხვადასხვა სახის ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა;</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ქვეპროგრამა	
პროექტის პროგრამული კოდი	33 04 02 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	33 04 - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების (ისტორიული დასახლებებისა და ქალაქების), კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რეაბილიტაცია; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება; ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაცია, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობის და



	ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები.
დეტალური ინფორმაცია	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია (გაგრძელება სვანური კომპლექსების და მაჩუბების რეაბილიტაცია, დოდორქის ახლადგამოვლენილი ეკლესიის მოხატულობის კონსერვაცია, ატენის სიონის რეაბილიტაცია, თბილისში მეტეხის ეკლესიის რეაბილიტაცია, დოლოჰოპის კონსერვაცია, ანჩისხატის ეკლესიის რეაბილიტაცია, საფარის სამონასტრო კომპლექსის წმ.გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაცია, გეგუთის კომპლექსის რეაბილიტაცია, ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მულტიდისციპლინარული კომპლექსური კვლევები, თისელის გუმბათიანი ეკლესიის რეაბილიტაცია, მცირე ჯვრის ქვის კონსერვაციის III ეტაპი, ტოლანთსოფლის სკოლის შენობის რესტავრაცია-რეაბილიტაცია II ეტაპი, ფიტარეთის ტაძრის მცირე რეაბილიტაცია, სოფელი საბუე ინწობის (ფიქალეხის) სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია, ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაციის II ეტაპი, ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის კონსერვაცია-გამაგრება, მუცოს ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის რეაბილიტაცია, სოფელ ჩაჟაშის რეაბილიტაცია, ნიკორწმინდის ტაძრის რეაბილიტაცია, კუმურდოს ტაძრის რეაბილიტაცია II ეტაპი, შატილის კომპლექსის რეაბილიტაცია, აწყურის ღმრთისმშობლის ტაძრისა და ციხისრეაბილიტაცია, გრაკლიანი გორის არქეოლოგია, მსხალგორის არქეოლოგია, დიდნაურის არქეოლოგია, გუდაბერტყას არქეოლოგია, ზიარის არქეოლოგია, ძალისის არქეოლოგია, გეგუთის არქეოლოგია, არმაზის-ხევის პიტიახშთა რეზიდენციის არქეოლოგია და მოწესრიგება-კონსერვაცია, სათხის რეაბილიტაცია, თისელის დარბაზული ეკლესიის რეაბილიტაცია, უჯარმის ციხე-ქალაქის რეაბილიტაცია, შორაპნის ციხის რეაბილიტაცია, სოფელი ჭაჭკარის რეაბილიტაცია, გორის ციხის რეაბილიტაცია, სამშვილდის რეაბილიტაცია, აბულის ციკლოპური ციხის რეაბილიტაცია, სოფელი საროს რეაბილიტაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება; ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაცია, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა

<b>სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა</b>	
პროექტის პროგრამული კოდი	35 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	35 04 - სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა; სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, აღჭურვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეაბილიტირებული და აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები.

**მოსახლეობის ელექტროენერგითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება**

პროექტის პროგრამული კოდი	36 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 02 - მოსახლეობის ელექტროენერგითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზისა და ელექტროენერგიის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება და ელექტროფიცირება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	2018 წელს დამატებით 10000-მდე აბონენტს მიეცემა ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა
დეტალური ინფორმაცია	საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობისთვის გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება. დაახლოებით 300 კმ სიგრძის სხვადასხვა დიამეტრის (90-160 მმ) გაზის მილების მონტაჟი. სოფლების სრული დაქსელება.  პროექტის შესრულების დროს ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სამიზნე რეგიონების მეწარმეობის გამოცოცხლებასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას. დღეისათვის გაზიფიცირებულია 1 063 000 აბონენტი.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყნის მასშტაბით გაზიფიცირებული 1 100 000-ზე მეტი აბონენტი;

**ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EU)**

პროექტის პროგრამული კოდი	36 03 01
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 03 - ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება-რეაბილიტაცია; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰესების (ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი) რეაბილიტაცია. ენგურჰესის სადაწნეო გვირაბი ავარიულ მდგომარეობაშია, დიდია ფილტრაციული დანაკარგები, მრავალ ადგილას დაზიანებული გვირაბის ბეტონის მოსახვა; დაზიანებულია 1-ლი, მე-2 და მე-5 ტურბინების წყალსატარები; უკიდურესად ცუდ მდგომარეობაშია გზის საფარი; აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად განადგურებულია წყალსაშვის ფარები; წყალსაცავში ლამის მაღალი დონის გამო შეუძლებელია მისაყრდნობი ფარის ჩაშვება კაშხლის ზედა ბიეფის მხრიდან. ენგურჰესის ექსპლუატაციის ნორმების თანახმად სადერივაციო გვირაბი ყოველ ხუთ წელიწადში საჭიროებს დათვლიერებას და საჭიროების შემთხვევაში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, რათა შემცირებული იქნას სადერივაციო გვირაბში გამავალი წყლის დანაკარგები, შესაბამისად გაიზარდოს გამომუშავება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	2018 წელს დასრულდება პროექტირება, მომზადდება სატენდერო დოკუმენტაცია და ჩატარდება ტენდერები მშენებელი კონტრაქტორებისათვის. დაიწყება ენგურჰესთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.
დეტალური ინფორმაცია	ენგურჰესის 15 კმ სადაწნეო გვირაბის რეაბილიტაცია ენგურჰესის სატურბინო მილსადენების რესტავრაცია ენგურჰესთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, 14კმ გზის ბეტონით მოსახვა. ენგურის კაშხლის ელექტრომომარაგების სისტემის განახლება მდ.ენგურიდან ვარდნილის წყალსაცავში გადამგდები ფარების, ასევე ვარდნილჰესი 2-ზე არხის მარეგულკირებელი ფარების და ამწის რეაბილიტაცია. ენგურის წყალსაცავის ნატანისგან გაწმენდის კონცეფციის შემუშავება და გაწმენდის სამუშაოების ჩატარება. სამუშაოები დაიწყება 2018 წელს და ჩატარდება ეტაპობრივად (მათი მასშტაბების გამო) 2021 წლამდე.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ჰიდროელექტროსადგურების (ენგურჰესი, ვარდნილჰესების კასკადის პირველი საფეხური) რეაბილიტაცია, საპროექტო სიმძლავრეზე გაყვანა, სადგურის საიმედოობის ამაღლება.

220კვ "ახალციხე-ბათუმი" ხაზის მშენებლობა (ADB, IBRD, WB, WIAD)	
პროექტის პროგრამული კოდი	36 04 01 01
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 04 - სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ელექტროსისტემის გაძლიერების მიზნით, ახალციხისა და ბათუმის ქვესადგურების დამაკავშირებელი 220 კვ-იანი ორჯაჭვიანი საჭარო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. პროექტის პირველი ფაზა „ბათუმი შუახევი“ (52 კმ) დასრულდება 2017 წელს, ხოლო 2018 წლის ბოლოს დასრულდება 2-ე ფაზის „შუახევი-ახალციხე“ მშენებლობა (მისი წინა სამშენებლო ეტაპი უკვე დაწყებულია), ხაზის სიგრძე - 90 კილომეტრია და ჯამში უნდა დაიდგას დაახლოებით 250 ანძა. აჭარა-გურიის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლება („პალიასტომი 1,2“ ხაზების დარეზერვირება). აჭარის პესპექტიული ჰესების ქსელში მაღალი ხარისხით ინტეგრირება;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	2018 წლის ბოლოსთვის დასრულდება ფაზა 2 ეგზ "შუახევი - ახალციხე" მშენებლობა, ხაზის სიგრძე - 90 კილომეტრი დაწყებული იქნება SCADA/EMS სისტემის და საბითუმო ვაჭრობის განვითარების პლათფორმის პროექტები.
დეტალური ინფორმაცია	პროექტის ფარგლებში განხორციელდება: - ორჯაჭვა 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა; - ხაზის სიგრძე 150 კმ, დასამონტაჟებელი ანძების რაოდენობა დაახლოებით 500; - გამტარუნარიანობა 350 მგვტ; განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდება მდინარე აჭარის წყალზე ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურების კასკადის გამომუშავებული ელექტროენერჯის სისტემაში შეყვანა (ჯამში 360 მგვტ).
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მდინარე აჭარისწყალზე დაგეგმილი შუახევის 178 მგვტ-იანი და კორომხეთის 150 მგვტ-იანი ჰესების მიერთება სახელმწიფო ენერჯის სისტემასთან. აჭარის რეგიონში ელექტროენერჯის სტაბილური მიწოდება; შემცირდება ელექტროენერჯის გათიშვები; გაიზრდება ქვეყნის შიგნით და ფარგლებს გარეთ ელექტროენერჯიაზე მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა;

500 კვ ეგზ-ის მშენებლობა ქსანი-სტეფანწმინდა (EBRD, EC, KfW, WB)	
პროექტის პროგრამული კოდი	36 04 02 01
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 04 - სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	500კვ „ქსანი-სტეფანწმინდა“ გადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის საშუალებით მოხდება ელექტროენერჯის გამოტანა მშენებარე დარიალის, ლარსის და აგრეთვე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მომავალში ასაშენებელი სხვა ჰიდროელექტროსადგურებიდან და მათი მიერთება ქსელში.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყაზბეგი, ლარსისა და მშენებარე დარიალი ჰესების სიმძლავრის ქსელში შემოყვანის ხელშეწყობა.
დეტალური ინფორმაცია	500კვ „ქსანი-სტეფანწმინდა“ ელექტროგადამცემი ხაზის (დაახლოებით 95კმ) დაკავშირება 110კვ ყაზბეგის ქვესადგურთან 110კვ დარიალის ელექტროგადამცემი ხაზის გაფართოებით. ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი წარმოადგენს ქსანი-ვეძათხევი-ქართალის მაგისტრალს, რომელიც კვეთს ფსანაური-წინამხარი-კიტოხი-გუდამაყარი-კარკუჩა-სნო-აჩხოტის გზას. რეგიონის გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე აღნიშნული დერეფანი ითვლება საშუალო სირთულის დერეფნად 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მშენებარე ჰიდროელექტროსადგურების მიერთების უზრუნველყოფა ნაციონალურ გადამცემ ქსელთან. საქართველოს ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით ენერგოტრანზიტის დერეფნის როლის გაძლიერება. ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდების გაუმჯობესება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, აღნიშნული რეგიონის, როგორც რეკრიაციული და საკურორტო ზონის, მზარდი მოხონების დასაკმაყოფილებლად.

ჯვარი ხორგა ელექტროგადამცემი ხაზი (EBRD, EC, KfW, WB)	
პროექტის პროგრამული კოდი	36 04 02 02
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	36 04 - სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ჯვარში ახალი 500/220 კვ-იანი ქვესადგურის მშენებლობა. 8 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომელიც მიუერთდება არსებულ, 500 კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზს „კავკასიონი“ და ხორგას 220 კვ-იან და ჯვრის 500 კვ-იან ქვესადგურებს შორის 60 კმ სიგრძის ორჯაჭვა 220 კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზს. ჯვარი-ხორგას ქსელი, საგრძნობლად გააუმჯობესებს საერთაშორისო და ადგილობრივი მომსახურების ხარისხს და საიმედოობას. ახალი ქვესადგურის მშენებლობით და 220 კვ-იანი ხაზების საშუალებით, შესაძლებელი გახდება ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდება და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ენერგომომარაგების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	500/220 კვ ქვესადგური ჯვარის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, 220 კვ ეგხ-ს ჯვარი-ხორგას მშენებლობისა და 500 კვ ეგხ კავკასიონის ქვესადგურ ჯვარში შეჭრის სამუშაოები.
დეტალური ინფორმაცია	500/220კვ ქვესადგურის მშენებლობა ჯვარში; 220კვ ეგხ-ს მშენებლობა ქს ჯვარი – ქს ხორგა (60კმ) და არსებული 500კვ ეგხ კავკასიონის შეჭრას ქს ჯვარში (8 კმ); საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა-ზედამხედველობა; სპეც. მანქანებისა და იარაღების შესყიდვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ჰესებიდან ელექტროენერჯის გატანის ხელშეწყობა დასავლეთ საქართველოს, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა და თურქეთის მიმართულებით. ამავდროულად, აღმოსავლეთ საქართველოსკენ ელექტროენერჯის მიწოდების პოტენციალის გაზრდა.

<b>სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	
პროექტის პროგრამული კოდი	37 06 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	სოფლის მეურნეობა
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	37 06 - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები
პროგრამის განმახორციელებელი	სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება რძის მწარმოებელი კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამა;  მედვინეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა;

	აფლის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდა. კოოპერატივების კონკურენტუნარიანობის ზრდა;
დეტალური ინფორმაცია	<p>22 კოოპერატივს გადაეცემათ რძის საწარმოსთვის საჭირო დანადგარები, კერძოდ: მცირე ლაბორატორია, ხელოვნული განაყოფიერებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მათ საკუთრებაში არსებული, როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ასევე წვრილფეხა პირუტყვის რაოდენობის შესაბამისად ყველის სახარში და რძის გამაციებელი დანადგარები, პასტერიზებული რძის ჩამოსასხმელი ნახევრადავტომატური დანადგარი, საწარმოს აღჭურვილობა, საწველი აპარატები და სხვა.</p> <p>5 კოოპერატივს გადაეცემა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ყურძნის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოს შექმნისათვის საჭირო მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები. პროგრამაში ჩართვისათვის კოოპერატივმა უნდა უზრუნველყოს სათანადო შენობა-ნაგებობის აშენება;</p> <p>განხორციელდება თანამედროვე ტიპის თაფლის საწარმოს აშენება და აღჭურვა მანქანა-დანადგარებით, რომელიც შემდგომში პირდაპირი გამოსყიდვით გადაეცემა მეორე დონის კოოპერატივს. თაფლის გადამამუშავებელი საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს მეპაიეებისგან თაფლის მიღებას, ლაბორატორიულ შემოწმებას, დეკრისტალიზაციას, გაფილტვრას, ჩამოსხმას, შენახვას და რეალიზაციას.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდა. კოოპერატივების კონკურენტუნარიანობის ზრდა;

სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შექმნა	
პროექტის პროგრამული კოდი	37 07 01
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	სოფლის მეურნეობა
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	37 07 - სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია;

	<p>შესაბამისი საინჟინრო კვლევების, პროექტირების, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ჩატარება;</p> <p>სპეციალური ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობებისა და დამხმარე საშუალებების შექმნა სამელიორაციო ობიექტებზე საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველსაყოფად.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა;</p> <p>წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;</p> <p>სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება;</p> <p>დაშრობილი მიწის ფართობის ზრდა; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება;</p>
დეტალური ინფორმაცია	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის ღონისძიებები:</p> <p>დოესის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია;</p> <p>კასპის მუნიციპალიტეტში სოფლების ხანდაკის, სასირეთის და მეტეხის მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის, სატუმბი სადგურისა და სადაწნეო მილსადენის მოწყობის სამუშაოები;</p> <p>ქვემო ხანდაკი-ნიჩბისის მექანიკური მორწყვის სარწყავი ქსელის რეაბილიტაცია (II ეტაპი);</p> <p>ხვითის მექანიკური მორწყვის სარწყავი ქსელის რეაბილიტაცია (II ეტაპი);</p> <p>ტაშისკარის სარწყავი სისტემის გომი-აგარის მონაკვეთზე განშტოება 1-4 გამანაწილებლის მონაკვეთის აღდგენა-რეაბილიტაცია (II რიგი);</p> <p>ტირიფონის სარწყავი სისტემის, მაგისტრალური არხის და ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია პკ 259+53 - დან პკ 304+41 - მდე;</p> <p>მდინარე მტკვრიდან სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის წყალაღების უზრუნველყოფის ღონისძიებები;</p> <p>ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთებზე</p>



	<p>ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები და მაგისტრალური არხის სწრაფმდენზე ჩამქრობი ჭის მოწყობა;</p> <p>იმირასანის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი);</p> <p>კაზრეთის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია პკ 90+80 დან პკ 127+25-მდე (II ეტაპი);</p> <p>იაკუბლოს წყალსაცავის კაშხლის კონსტრუქციული მდგრადობის და ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები;</p> <p>გარდაბნის სარწყავი სისტემის გ-14 გამანაწილებლის რეაბილიტაციის სამუშაოები;</p> <p>ზემო სამგორის სარწყავი სისტემის თეთრიხევის სწრაფმდენების რეაბილიტაცია;</p> <p>ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხის გ-7 გამანაწილებლის (ღარული) რეაბილიტაცია;</p> <p>ბარათაანთ არხის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია;</p> <p>ხრამ -არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთის (პკ 68+80 დან პკ 18+ 50 მდე) რეაბილიტაცია II ეტაპი;</p> <p>მთისძირი-ჯავახის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების, შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია;</p> <p>ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია;</p> <p>მდინარე ალაზანსა და ქვემო ალაზნის მაგისტრალურ არხს შორის ტერიტორიაზე III რიგი;</p> <p>ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის, მარცხენა მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია (I ეტაპი);</p> <p>ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის გ - 1 - გ - 8 გამანაწილებლების</p>
--	---

	<p>რეაბილიტაცია;</p> <p>ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხიდან, სოფელ ძველი ანაგის სატუმბო სადგურისა და სადაწნეო მილსადენის მოწყობის სამუშაოები;</p> <p>სამთაწყარო - ფიროსმანის მაგისტრალური არხის და მასზე არსებული დაზიანებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების აღდგენა - რეაბილიტაცია;</p> <p>ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთების (პკ 33+16-დან პკ 56+81-მდე; პკ 115+61-დან პკ 117+19-მდე და პკ 120+89-დან პკ 123+59-მდე), კისისხევის და აკურის დიუკერების რეაბილიტაცია (I ეტაპი);</p> <p>ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის გ-29; გ-33; გ34 გ-49 და გ-58; გამანაწილებლების რეაბილიტაცია (I ეტაპი);</p> <p>ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის და ჰიდროტექნიკური ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია პკ 394+38-დან პკ 668+75-მდე (II ეტაპი);</p> <p>ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის, მარცხენა მაგისტრალური არხის გ-22 გამანაწილებლის რეაბილიტაცია;</p> <p>სამთაწყაროს მექანიკური მორწყვის სისტემების რეაბილიტაცია I ეტაპი ( სადაწნეო მილსადენის და საექსპლუატაციო გზა);</p> <p>ფერსა - მუგარეთის და გიორგიწმინდას მექანიკური სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის და I რიგის გამანაწილებლების (მილსადენები) რეაბილიტაცია (II ეტაპი);</p> <p>ზრესის მექანიკური მორწყვის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის და I რიგის გამანაწილებლების (მილსადენები) რეაბილიტაცია;</p> <p>ზაკი-ხანდო-კოთელიას მექანიკური მორწყვის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის და მასზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია;</p> <p>ყაურმა-მამწვარის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია;</p> <p>მამწვარის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის</p>
--	---

	<p>გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბლიტაცია;</p> <p>სოფელ ვარციხისა და ტობანიერის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხების, I რიგის გამანაწილებლების, დამშრობი ღია სადრენაჟო-საკოლექტორო ქსელის და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბლიტაციის სამუშაოები;</p> <p>ხონი-სამტრედიის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთის (პკ 3+60-დან პკ 15+60 -მდე) და გ-3-1; გ-3-1-1 და გ-3-2 გამანაწილებლების რეაბლიტაცია (II რიგის პირველი ეტაპი);</p> <p>ჭალა-ორდულის არხის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალური არხის რეაბლიტაცია;</p> <p>გარდა ამისა განხორციელდება დამშრობი სისტემების რეაბლიტაციის ღონისძიებები:</p> <p>ლოკალური დამშრობი სისტემების რეაბლიტაცია;</p> <p>მერეკრძელას სატუმბი სადგურის აღდგენა-რეაბლიტაცია მდ. ნატანებთან;</p> <p>ცხენისწყალი-აბაშის მდინარეთაშორის მასივის ლოკალური დამშრობი სისტემების რეაბლიტაცია;</p> <p>აბაშა-ტეხურას მდინარეთაშორის მასივის ლოკალური დამშრობი სისტემების რეაბლიტაცია;</p> <p>ცივა-ტეხურას მდინარეთაშორის მასივის ლოკალური დამშრობი სისტემების რეაბლიტაცია;</p> <p>რიონი-ხობის მდინარეთაშორის მასივზე ჭალადიდის დამშრობის სისტემის მაგისტრალური;</p> <p>წყალგამყვანი არხის, პირველი და სხვა რიგის წყალშემკრები კოლექტორების, შიდასამეურნეო არხების რეაბლიტაცია - I რიგი;</p> <p>ხობი-ენგური ლოკალური დამშრობი სისტემების რეაბლიტაცია;</p>
--	---

	<p>ასევე, განხორციელდება სარეაბილიტაციო ობიექტების პროექტირება, ექსპერტიზა, ზედამხედველობა. შექნილ იქნება შემდეგი სახის ტექნიკა: სათიბელა-მულჩერი დაქუცმაცებული მასის ტრანსპორტიორით-2ერთეული; ბულდოზერი 24 ტონიანი 1 ერთეული; უნაგირა საწევარა მანიპულიატორით-1 ერთეული; მტვირთავი (ბოზკატი) დიზელის ძრავით-2; ამწე მანიპულიატორი 25 ტონიანი-2; კომპრესორი, ბეტონმტვრევი, შედუღების აპარატი, პომპები (ბეტონის მისაწოდებელი), მცირე ზომის პომპები, გენერატორი, ვიბრატორები, მიწის სატკეპნი აპარატი, პერფორატორები, დონკრატები - სავარაუდოდ სულ 25 ერთეული.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურის განვითარება;

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია (III ფაზა) (EU, KfW)	
პროექტის პროგრამული კოდი	58 12 03
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	58 12 - დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ქ. ბათუმის ბათუმის I ზონაში და ჩაქვი-მახინჯაური-მწვანე კონცხის წყალმომარაგების სისტემის (გათვალისწინებულია წყლის სამარაგო რეზერვუარების მშენებლობა ჩაქვსა და მახინჯაურში), ქ. ბათუმის I, III და IV ზონის წყალარინების სისტემის (გათვალისწინებულია წყალარინების სატუმბო სადგურების მშენებლობა თამარისა და ბარცხანის დასახლებაში) რეაბილიტაცია და გაფართოება;</p> <p>მოსახლეობისათვის უწყვეტი და მოთხოვნაზე დაფუძნებული ჰიგიენურად საიმედო წყალმომარაგება;</p> <p>ქალაქში არსებული ღია და დახურული სანიაღვრე არხების რეკონსტრუქცია;</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დასრულებულია ბონი-გოროდოკი - ზემო გოროდოკი - თამარის დასახლების წყლისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია; დასრულებულია მახინჯაურის წყლის 1800 კუბ.მ. სამარაგო რეზერვუარის მშენებლობა; დასრულებულია A და B წყალარინების კოლექტორის რეაბილიტაცია;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეაბილიტირებულ უბნებში სასმელი წყლის უწყვეტად და დანაკარგების გარეშე მიწოდება; რეაბილიტირებულ უბნებში წყალარინების სისტემის გამართული მუშაობა;

ქალაქში დატბორვის პრობლემის აღმოფხვრა;  
 ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება;  
 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

**KfW - ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაცია - IV ფაზა (KfW)**

პროექტის პროგრამული კოდი	58 12 04
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	58 12 - დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები
პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	გონიო-კვარიათის დასახლებაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და გაფართოება; ჩაქვი-მახინჯაურის დასახლებაში კომპაქტური წყალარინების გამწმენდი სადგურების მშენებლობა; კახაბერი, ადლიის და აეროპორტის დასახლებაში წყალმომარაგების და წყალარინების სისტემის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა; ქალაქში არსებული ღია და დახურული სანიაღვრე არხების რეკონსტრუქცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გონიო-კვარიათის დასახლებაში დაწყებულია წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები (2000 კ.მ სასმელი წყლის რეზერვუარის, საწნეო ხაზის და სადისტრიბუციო ქსელის მშენებლობა); ხიმშიაშვილის, ინასარიძის, აღმაშენებლის ქუჩების და ახალი ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის მიმდინარეობა
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობისათვის უწყვეტი და მოთხოვნაზე დაფუძნებული ჰიგიენურად საიმედო წყალმომარაგება. ქალაქში დატბორვის პრობლემის აღმოფხვრა, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

**აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი (EBRD)**

პროექტის პროგრამული კოდი	58 12 05
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	58 12 - დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროექტის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა, რაც ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში ევროკომისიის დირექტივების შესაბამისი სანიტარული ნაგავსაყრელის პოლიგონის მოწყობას. პროექტის ფარგლებში განხორციელდება ბათუმის (გონიოს დასახლება) და ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული არასტანდარტული და ექსპლოატაციისთვის არასათანადო ნაგავსაყრელების კონსერვაცია
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>პროექტის ფარგლებში მომზადებულია შემდეგი დოკუმენტები: პროექტის განხორციელების გეგმა, ბათუმისა და ქობულეთის (დროებითი) ნაგავსაყრელების კვლევა, PIU-ს ჩამოყალიბება და გამყარება, დეტალური პროექტი და სანებართვო დოკუმენტაციის მომზადება, შესყიდვებისა და სატენდერო პაკეტის მომზადება, სამოქმედო და საექსპლუატაციო სახელმძღვანელოს მომზადება, კვარტალური ანგარიშები, დახურვის ზომების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება ნებართვის აღების მიზნით, გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიში (საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით), გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიში (EBRD-ს წესების მიხედვით);</p> <p>სამშენებლო ნებართვა მიღებულ იქნა შესაბამისი ორგანოს მიერ;</p> <p>პროექტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობა;</p> <p>პოლიგონის მშენებლობა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაინერგება მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემა, დახურულ იქნება ბათუმის (გონიოს დასახლება) და ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული არასტანდარტული და ექსპლუატაციისთვის არასათანადო ნაგავსაყრელები;

<b>ბათუმის ავტონომიური რესპუბლიკის პროექტი (E5P, EBRD)</b>	
პროექტის პროგრამული კოდი	58 12 06
პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროექტი	საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები
პროგრამის კოდი და დასახელება რომელსაც წარმოადგენს პროექტი პროგრამულ კლასიფიკაციაში	58 12 - დონორების მიერ დაფინანსებული საერთო სახელმწიფოებრივი გადასახდელები

პროგრამის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქ. ბათუმში მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით თანამედროვე სტანდარტების დიზელზე (euro 5) მომუშავე და სრულად ელექტრო ავტობუსების შექმნა, მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიის პარკის განახლება/შევსება ახალი ადაპტირებული ავტობუსებით, რაც ხელს შეუწყობს გარემოს დაცვასა და მუნიციპალური ტრანსპორტის სისტემის გამართულ მუშაობას.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქ. ბათუმის მოსახლეობისათვის ნაწილობრივ უზრუნველყოფილია ახალი, ადაპტირებული და ეკოლოგიურად სუფთა მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია შეუფერხებელი, ეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისი.